ქ. მცხეთის გენერალური გეგმის პრობლემატური საკითხები

ურბანისტ ლადო ვარდოსანიძის საჯარო ლექცია

2021 წლის 10 ივნისს 14 საათზე აქოლისის ორგანიზაციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფკულტეტის ინიციატივით გაიმართა არქიტექტურის დოქტორის, საერთაშორისო ექსპერტის, ურბანისტ ლადო ვარდოსანიძის საჯარო ლექცია "მცხეთის გენერალური გეგმის პრობლემატური საკითხები".

ლექცია მოიცავდა ქ.მცხეთის კონცეპტუალური განვითარების საკითხებს. აკადემიურ ფორმატში განხილული იყო ურბანული განვითარების თეორიული , ორგანიზაციულ - ადმინისტრაციულ- ტექნიკური მხარეები

წარმოჩენილი იყო ქალაქგეგამრებითი, მულტიდისციპლინარული მიდგომის მნიშვნელობა ქალაქის სივრცითი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას.

სტუდენტებისთვის გაზიარებული იყო ქ.მცხეთის ტურისტული განვითარების ავტორისეული ხედვა.

ამ მხრივ მონაწილეების მიერ გამოითქვა მზაობა მომავალში თანამშრომლობისა მცხეთის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით სასწავლო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციასა და უმაღლესი განათლების დაწესებულებასთან. საჯარო ლექციების, ვორქშოპებისა და კლაუზურების, გამოფენების, ურბანული საზაფხულო სკოლის ორგანიზაბის სახით.

ლექციაზე ავტორმა ფართოდ გააშუქა მცხეთის მნიშვნელობა ქვეყნისა და ქთბილისის აგლომერაციის განვითარების ჭრილში. სატრანსპორტო ანალიზის, მწვანე კორიდორების, სარეკრეაციოსივრცის, ლანდშაფტის, განვითარების კუთხით.



პრეტენზია მომავალში ევროპის კულტურული ქალაქის წოდებაზე.